დადგენილება № 69/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტების სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებასათან დაკავშირებით შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

დადგენილება №69/2020
28 სექტემბერი, 2020

დადგენილება № 69/2020 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტების სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისათან დაკავშირებით შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-6 მუხლის 1_1 პუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-227 ბრძანების № 25-ე დანართის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 სექტემბრის № 36 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტების სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისათან დაკავშირებით დამტკიცდეს შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარმოდგენილი დანართი №2-ის სახით;
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2020 წლის 28 სექტემბრის აკადემიური საბჭოს №68/2020 დადგენილების მე-3 პუნქტში გათვალისწინებული სარეპეტიციო-შემოქმედებითი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე, დიდ დარბაზებში, კამერულ დარბაზში, საოპერო სტუდიის დარბაზში განხორციელდეს შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დანართი №2-ის შესაბამისად;

3. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულეობლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე